



დაფინანსება - ფულადი ან არამატერიალური შემოწირულობები - არა მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ორგანოებიდან, არამედ ასევე ინსტიტუციური ან ინდივიდუალური დონორებისგან, სხვა სახელმწიფოსგან ან მრავალმხრივი სააგენტოებისგან, რომლებიც ექვემდებარება მხოლოდ ზოგად კანონებს საბაჟო, სავალუტო და ფულის გათეთრების სფეროში, და არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონებს“.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაერთიანების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს დადგენილი კანონით, და უნდა დაექვემდებაროს სიცხადისა და განჭვრეტადობის ტესტს. ეს ასევე აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. აუცილებლობის ცნება მოიცავს ორ პირობას: ნებისმიერი ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს „მწვავე სოციალურ საჭიროებას“ და ჩარევა უნდა იყოს პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, შეზღუდვა უნდა იყოს არადისკრიმინაციული.

რაც შეეხება აუცილებლობის ასპექტს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსებასთან მიმართებაში გამჭვირვალობის გაზრდის მიზანი შესაძლოა შეესაბამებოდეს წესრიგის დამყარების ლეგიტიმურ მიზანს ECHR-ის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როგორც ეს სასამართლომ აღნიშნა ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში. თუმცა, ეს არ უნდა იქნეს მიღწეული არაპროპორციული საშუალებებით და ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ეფექტური სარგებლობისთვის ზიანის მიყენებით. კერძოდ, OSCE-ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის გაერთიანების თავისუფლების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, „იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფოს ჩარევა ფუნდამენტური თავისუფლების განხორციელებაში არ აღემატებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის საზღვრებს, მოითხოვს ყველა საპირისპირო ინტერესს შორის გონივრულ ბალანსს ყველა და ამ ინტერესებისთვის ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალებების არჩევის უზრუნველყოფას. საკანონმდებლო ეტაპზე, ეს უნდა გაკეთდეს იმის შეფასებით, გამართლებულია თუ არა გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში დაგეგმილი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში და არის თუ არა ის ყველაზე ნაკლებად ინვაზიურია იმ ყველა შესაძლო საშუალებას შორის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული“.

რაც შეეხება დისკრიმინაციის დაუშვებლობას, სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს არაკომერციული ორგანიზაციების ლეგიტიმურ მუშაობას, უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც არ არის დისკრიმინაციული და ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მკაფიო და მიუკერძოებელ სტანდარტებს, მიუხედავად მათი დაფინანსების წყაროებისა. აღვნიშნავ, რომ საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს არაკომერციული იურიდიული პირებისა და მედია საშუალებების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას მხოლოდ დაფინანსების ნაწილის უცხოური წარმოშობის გამო. მე ასევე ვთვლი, რომ ტერმინი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ - რომელიც გამოიყენება კანონპროექტში - გულისხმობს დამოკიდებულების და კონტროლის მაღალ დონეს უცხოურ დაფინანსებასა და დონორ ორგანიზაციას შორის. როგორც ჩანს, ეს არ შეესაბამება საზღვარგარეთიდან მთლიანი წლიური შემოსავლის მხოლოდ 20%-ზე მეტის მიღებას - პირდაპირ ან თუნდაც ირიბად. ეს აღნიშვნა, ასევე საქართველოში ადამიანის უფლებათა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკურ დისკურსში მზარდი სტიგმატიზაციის ფონზე უნდა იყოს დანახული. ამ კონტექსტში მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების თავისუფლებების შეზღუდვის ნაცვლად, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო მათი მუშაობისთვის, ევროპაში სამოქალაქო

საზოგადოების სივრცის დაცვისა და ხელშეწყობის გაძლიერების საჭიროების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2018)11 შესაბამისად.

ამ კანონის მიღების შემთხვევაში, მისმა იმპლემენტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს უცხოური დაფინანსების მიმღები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების და მათი საქმიანობის სტიგმატიზაცია და დისკრედიტაცია, მათ შორის, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების თვალში, რაც, შესაბამისად, სირთულეს შეუქმნის ან შეუძლებელს გახდის მათი საქმიანობის განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე პატივისცემით ვთხოვ პარლამენტის წევრებს, თავი შეიკავონ წარდგენილი კანონპროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიღებისგან და ითანამშრომლონ ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ევროპის საბჭოსთან, რათა უზრუნველყონ ქვეყანაში არაკომერციული ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების ლეგიტიმური მუშაობისათვის ხელსაყრელი გარემო.

მადლობელი ვიქნები, თუ დარწმუნდებით, რომ პარლამენტის ყველა წევრი მიიღებს ამ წერილის ასლს. მზად ვარ გავაგრძელო ჩვენი კონსტრუქციული დიალოგი ამ და ადამიანის უფლებათა სხვა საკითხებზე საქართველოში.

პატივისცემით,

მაიკლ ო'ფლაერტი